ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПОЗДРАВЛЕНИЕ

ДОРОГИЕ ЖЕНЩИНЫ!

Примите наши сердечные поздравления и наилучшие пожелания в связи с Международным женским днем 8 Марта! Желаем Вам счастья и успехов в труде.

КОЛЛЕГИЯ МВД ГССР.
ПОЛИТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ МВД ГССР.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი მუშაკი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 10 (2053) 9 მარტი, შაბათი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

# НАГРАЖДЕНИЯ

**ЗА ОБРАЗЦОВОЕ ВЫПОЛНЕНИЕ СЛУЖЕБНЫХ ОБЯЗАННОСТЕЙ И В СВЯЗИ С ПРАЗДНОВАНИЕМ МЕЖДУНАРОДНОГО ЖЕНСКОГО ДНЯ 8 МАРТА ПОЧЕТНОЙ ГРАМОТОЙ МВД ГССР НАГРАДИТЬ:**

— ЯШВИЛИ Нону Давидовну — заведующую школьно-курсовой сетью Дома культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР;

— ДЖИБГАШВИЛИ Светлану Моисеевну — старшего экономиста МВД ГССР;

— ГВИРГВИЛИАНИ Циури Григорьевну—младшего научного сотрудника лаборатории социологии преступности МВД ГССР;

— МЫЛЬНИКОВУ Ольгу Борисовну — младшего научного сотрудника лаборатории социологии преступности МВД ГССР;

— АРЕШИДЗЕ Майю Валерьяновну — старшего бухгалтера медотдела МВД ГССР.

**ФОТОАППАРАТОМ «СИЛУЭТ»:**

— АЛИБЕГАШВИЛИ Лали Давидовну — врача-инспектора медотдела МВД ГССР.

**Ценными подарками и денежными премиями была награждена большая группа женщин — сотрудников министерства.**



7 მარტს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი გ. გვეტაძე, პოლიტიკური განყოფილების უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი ა. ანქვაბი, კოლეგიის წევრები, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

**სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი.**

ტ. ტარიელაშვილის ფოტო.

# სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის

**4 მარტს** გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შს მინისტრების, სამხარეო და საოლქო აღმასკომების, ტრანსპორტის შინაგან საქმეთა სამმართველოების, შინაგანი ჯარების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემათა სასწავლებლებისა და პოლიტგანყოფილებათა უფროსების თათბირი, რომელმაც განიხილა 1983-84 წლებში გაწეული მუშაობის შედეგები.

მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნებისა და ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებების შესაბამისად სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების და სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების ამოცანების შესახებ, გააკეთა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრმა ვ. ვ. ფედორჩუკმა.

ინფორმაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო დადგენილებათა შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოების პირადი შემადგენლობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებისა და ორგანოებში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, წაიკითხა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ვ. ი. გლადიშევმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა ა. მ. რეკუნკოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები.

## საინფორმაციო ცნობა

# საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახებ

**გაიმართა** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი. პლენუმზე მოწვეულნი იყვნენ კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, რომლებიც არჩეულნი არ არიან რესპუბლიკის ალკკ ხელმძღვანელ ორგანოებში, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები პროპაგანდის დარგში, რაიკომის უფლებისმქონე კომკავშირის კომიტეტების მდივნები, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისა და სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები, რესპუბლიკის რიგი სამინისტროების, უწყებების, ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, ახალგაზრდა სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთ-ერთ საკითხად განიხილა საკითხი ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებასთან, ითითოეულ კომკავშირელში, სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპებისა და ნორმების დასაცავად პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობის აღსაზრდელად ბრძოლის გასაძლიერებლად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ლორთქიფანიძე.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება. დამტკიცდა ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებასთან, თითოეულ კომკავშირელში, თითოეულ ახალგაზრდაში სოციალისტური ცხოვრების წესის ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების დაცვისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის აღსაზრდელად ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა 1985–1986 წლებისათვის.

პლენუმზე განსაკუთრებული სიმწვავით გაანალიზდა ნარკომანიისა და ამ ბოროტებასთან კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლის რადიკალური აქტივიზაციის საკითხები. დამტკიცდა ახალგაზრდებსა და არასრულწლოვანთა შორის ნარკომანიის გამოვლინების ყოველ კონკრეტულ ფაქტთან შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნისა და ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა 1985–1986 წლებისათვის.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა და მიიღო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, კომკავშირლებისადმი, ახალგაზრდობისადმი — „ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებასთან, თითოეულ კომკავშირელში, თითოეულ ახალგაზრდაში სოციალისტური ცხოვრების წესის ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების დასაცავად პერსონალური პასუხისმგებლობის ბრძოლის გასაძლიერებლად რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“.

პლენუმმა რესპუბლიკის კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში ფართოდ და პრინციპულად განიხილონ პირველადი ორგანიზაციების კომკავშირულ კრებებზე, კომკავშირის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების პლენუმებზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მასალები და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი, ამ კუთხით დასახონ და განახორციელონ კონკრეტული და პრაქტიკული ღონისძიებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გ. ენუქიძე.**

პლენუმის მუშაობაში სხვა ამხანაგებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ **ზ. ხაზალიამ.**

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში.

# რაზმეულები გამოვლენ დათვალიერებაზე

**საქართველოს** კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო შტაბის მორიგი სხდომა. ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის შედეგებზე ინფორმაციით გამოვიდა ქ. თბილისის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულთა საქალაქო შტაბის მდივანი ი. მეიფარიანი. სამედიცინო გამოსაფხიზლებელში სახალხო რაზმეულთა მუშაობაზე დამსწრეთ ესაუბრა მისი უფროსი გ. მურცხვალაძე.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, შარშან, საიუბილეო წელიწადს კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა ქალაქის რაზმელთა საქმიანობაში. აპრილიდან საქარხნო და გლდანის რაიონებში მოეწყო მილიციისა და საზოგადოების ძალებისა და საშუალებათა, უწინარეს ყოვლისა, რაზმელთა საპატრულო უბნებზე კომპლექსური გამოყენების ექსპერიმენტი. მისი საბოლოო შედეგები წლეულს შეჯამდება. მაგრამ უკვე ამჟამად შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნები — ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია დადებითი შედეგებისათვის, გაგვეუმჯობესებინა მუშაობის მაჩვენებლები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნებაყოფლობით სახალხო რაზმელთა წევრების სამართლებრივი სწავლების საკითხებს.

სახალხო რაზმელების საქმიანობაზე სუსტია იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელების კონტროლი, რომლებიც როგორც წესი, თვითონ არიან მათთან შექმნილ რაზმელთა მეთაურები. ბევრმა მათგანმა დაივიწყა საკუთარი მოვალეობანი, არ მიდის შტაბში რაზმების წარმომადგენლებთან ერთად, არ ხელმძღვანელობს რაზმელთა მუშაობას. სწორედ ამან აიძულა კიროვის რაიონის შტაბი, შემოეღო მორიგეობაზე თავის რაზმეულთან ერთად ხელმძღვანელისა და პარტიული ორგანიზაციის მდივნის გასვლის კონტროლის სპეციალური ჟურნალი. ჟურნალს სისტემატიურად ამოწმებს შტაბის უფროსი, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ე. ვასილიევი, კიროველთა გამოცდილება იმსახურებს ყურადღებას და ქალაქის სხვა რაიონებში გავრცელებას.

სხდომაზე აღინიშნა, რომ შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ზოგიერთი მუშაკი, რომელიც ვალდებულია, ინსტრუქტაჟი გაუწიოს სახალხო რაზმელებს, რეგულარულად არ ცხადდება შტაბში. ეს პრეტენზიები უწინარეს ყოვლისა ეხებათ კიროვისა და საბურთალოს რაიონების მილიციის თანამშრომლებს. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ ქალაქის ზოგიერთ რაიონში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა — ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეო ნაწილს აწვდიან აშკარად გაბერილ ციფრებს სამუშაოდ გასული რაზმეულების რაოდენობაზე, ასე ხდება, კერძოდ, 26 კომისრის, კალინინის, საბურთალოს რაიონებში. დაისვა საკითხი ძველი თბილისის რესტავრირებულ ნაწილში მორიგეობის გაძლიერების შესახებ, რადგან აქ ხშირად ხალხმრავლობაა, დასათვალიერებლად მოდიან როგორც ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები, ისე მისი სტუმრები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ქ. თბილისის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულთა საქალაქო შტაბის უფროსმა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ჯ. კუხალაშვილმა.

მიღებულია დადგენილება, რომლის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს გავააქტიუროთ ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულთა საქმიანობა, განვამტკიცოთ მართლწესრიგი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში. ამ მიზნით გადაწყდა — **15 მარტიდან 15 აპრილამდე** მოეწყოს თბილისის ნებაყოფლობით სახალხო რაზმეულთა საქმიანობის დათვალიერება.

პარტიული ცხოვრება

# ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXI პლენუმზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტის აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის დიდი აღმავლობით მიმდინარეობს კომუნისტების ანგარიშების მოსმენა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცება. ამ მხრივ დიდი გამოცდილება დააგროვეს შინაგან საქმეთა ორგანოების პარტიულმა ორგანიზაციებმა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში სისტემატიურად იხილავენ კომუნისტების ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და ამტკიცებენ მათ პარტიულ დახასიათებებს. უნდა აღინიშნოს, რომ დახასიათებებში ყოველმხრივ არის აღნიშნული არა მარტო კომუნისტის პირადი საქმიანობა და საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობა, არამედ მისი პოლიტიკური მომზადების დონე, ქცევის მორალური, ზნეობრივი ასპექტები, მისი ცხოვრების წესი, ოჯახისადმი, ბავშვების აღზრდისადმი დამოკიდებულება და ა. შ.

მიმდინარე წლის 27 დეკემბერს დედაქალაქის გლდანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა უბნის ინსპექტორის, მილიციის კაპიტანის, კომუნისტ ს. ჰედიას თვითანგარიში.

კომუნისტმა ს. ჰედიამ კრებას მოახსენა, რომ იგი ემსახურება გლდანის მეორე მიკრო რაიონს. მის სამოქმედო უბანზე ოპერატიული ვითარება სტაბილურია. გასულ წელს აღინიშნა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი დანაშაული. შედგენილი აქვს მუშაობის ყოველკვირეული და ყოველთვიური გეგმები; უბნის მოსახლეობის დახმარებით იგი სისტემატიურად ავლენს მუქთახორებს და უმუშევრებს. პარალელურად ზრუნავს მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის. უბნის ინსპექტორს სისტემატიური მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავს სასჯელის მოხდის ადგილიდან დაბრუნებული პირები, ახლო კონტაქტი აქვს დამყარებული მათ ოჯახებთან, დღენიადაგ ზრუნავს მათი მომავალი ცხოვრების უკეთ წარმართვისათვის.

კომუნისტმა ხაზი გაუსვა არასრულწლოვან მოზარდებთან მუშაობას. ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე რასაც იგი ატარებს ამ მიმართულებით. უბნის ინსპექტორმა აღნიშნა, რომ გასულ წელს მის სამოქმედო უბანზე ავტოსატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. სამოქმედო უბანში შექმნილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტები; მისი აქტიური ჩარევით არაერთი მეზობლური და ოჯახური დავა იქნა მოგვარებული.

ს. ჰედიამ პირობა მისცა კომუნისტებს, პარტიულ კრებას, რომ შემდეგში პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით თავის სამოქმედო უბანში განამტკიცებს საზოგადოებრივ წესრიგს და იბრძოლებს ყოველგვარი სამართალდარღვევების აღკვეთისათვის.

კომუნისტ ს. ჰედიას პარტიული დახასიათების პროექტი კრებას გააცნო განყოფილების უფროსმა უბნის ინსპექტორმა, მილიციის მაიორმა, კომუნისტმა პ. ბახტურიძემ.

დახასიათების პროექტში აღნიშნულია, რომ კომუნისტი ს. ჰედია, დაბადებული 1937 წელს, სკკპ წევრი 1969 წლიდან, საშუალო განათლებით, უბნის ინსპექტორად მუშაობს გლდანის შს რაიგანყოფილებაში. მისი შრომითი ბიოგრაფია 1961 წლიდან იწყება, საბჭოთა არმიის რიგებიდან. დემობილიზაციის შემდეგ. მუშაობდა ქარხანა „ელექტროავტომატში“. 1962 წლიდან ჰედია მუშაობას იწყებს გლდანის შს რაიგანყოფილებაში. უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე კი 1983 წლიდანაა. შრომისმოყვარეა, შემსრულებელი, აქტიურად იბრძვის თავის სამომსახურეო უბანზე მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მოსახლეობაში სარგებლობს ავტორიტეტით, კარგად მუშაობს საზოგადოებრივ აქტივთან ერთად. არის კარგი მეოჯახე და მამა, ჰყავს ორი შვილი, ისინი დედაქალაქის № 112 საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები არიან.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა ილაპარაკეს, სკკპ წევრის ამხ. ჰედიას მუშაობის შესახებ და აღნიშნეს, რომ მას იცნობენ, როგორც თავმდაბალ, პასუხისმგებელ თანამშრომელს, ამასთანავე ხაზი გაუსვა რომ იგი მტკივნეულად განიცდის შენიშვნებს, როგორც ხელმძღვანელობის, ასევე თანამშრომლების მხრიდან.

ცალკე აღინიშნა, რომ ს. ჰედია პირნათლად ასრულებს განყოფილების პარტიული კომიტეტის დავალებას, არის ენერგიული, პასუხისმგებელი და შემსრულებელი მუშაკი.

კრებაზე მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ კომუნისტ ს. ჰედიას საქმიანობა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, ამასთანავე მიეთითა, რომ გაითვალისწინოს კრებაზე მის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და ყველა ღონე იხმაროს იმისათვის, რომ მისი შემდგომი საქმიანობა ნაყოფიერი, სამაგალითო გახადოს.

ყველა კომუნისტმა მხარი დაუჭირა მიღებულ დადგენილებას.

**რ. არაბიძე,**

**ქ. თბილისის გლდანის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.**

# КОМСОМОЛУ — ЗАБОТУ И ВНИМАНИЕ

Важность и ответственность задач, стоящих перед органами внутренних дел, выдвигает на одно из первых мест вопрос об улучшении форм и методов, самого стиля работы первичной комсомольской организации. Упущения в работе с молодежью здесь особенно нетерпимы, потому что современная служба в рядах милиции — дело нелегкое. Она требует неустанного труда, систематической тренировки, волевой закалки, психологической выдержки и, конечно, высокой дисциплинированности.

В соответствии с планом совместных мероприятий ЦК ЛКСМ Грузии и политический отдел МВД ГССР с 1 января 1984 г. проводили республиканский смотр-конкурс комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел по повышению активности, дисциплины и организованности молодых сотрудников. С учетом проводимого смотра-конкурса первичной комсомольской организацией Цхинвальского ГОВД был разработан и утвержден на заседании комитета комсомола перспективный комплексный план работы комитета комсомола на 1984 год. Вся проводимая работа была направлена на обеспечение авангардной роли комсомольцев в решении оперативно-служебных задач, развитие их инициативы и активности в предупреждении и раскрытии преступлений, повышение культуры в работе, профессиональной выучки, честности и организованности, искоренение случаев нарушения дисциплины и социалистической законности, грубости и бестактности в обращении с гражданами, неправильного поведения в быту членов ВЛКСМ — сотрудников отдела внутренних дел.

Проводимые мероприятия позволили определенно оздоровить оперативную обстановку в городе. Сократилось число преступлений, учитываемых по линии уголовного розыска, пошло на убыль количество наиболее опасных преступлений. На нет сведены такие преступления, как бандитизм, умышленное убийство, покушения на убийство, грабежи, разбои, кражи государственного имущества и др. Улучшились показатели работы и по линии БХСС.

Партийно - политическая работа со стороны партийной и комсомольской организации безусловно оказывает свое влияние и на политико-моральное состояние комсомольцев и молодежи городского отдела внутренних дел. Приказами начальников УВД и ГОВД 26 человек получили поощрения, в том числе, 11 комсомольцев. Так, например, в августе прошлого года к милиционеру патрульно - постовой службы, члену ВЛКСМ, младшему сержанту милиции Теймуразу Джалабадзе во время несения службы подбежала гражданка, у которой в автобусе украли сумочку. В ней были деньги в сумме 150 рублей, золотое кольцо, часы. Проявив смекалку и находчивость, Т. Джалабадзе по «горячим» следам задержал преступника. Приказом начальника УВД Теймуразу объявлена благодарность.

При задержании преступника, вооруженного топором, проявили мужество член ВЛКСМ, рядовой милиции Гамлет Валиев, лейтенант милиции, инспектор охраны общественного порядка Георгий Кабулов и лейтенант милиции инспектор ИДН Филип Плиев. Все они были поощрены приказом начальника УВД Юго-Осетии.

Однако в руководстве комсомолом у нас еще много нерешенных проблем и многое нам предстоит сделать. Не всегда комсомольская организация эффективно использует имеющиеся возможности влияния на молодежь. не своевременно реагирует на те или иные проступки, не следит за увлечениями молодежи.

Отрицательный резонанс имел случай, происшедший 19 июля 1984 года в изоляторе временного содержания. Дежурный наряд в составе рядового милиции В. Газзаева, младшего сержанта милиции Д. Плиева и сержанта милиции Ю. Дудаева во время несения службы занесли в ИВС шампанское и начали его распивать. Данный поступок был рассмотрен на товарищеском суде. Решение суда было отменено как непринципиальное, а сотрудники уволены из органов внутренних дел. Причем, надо отметить, что эти сотрудники характеризовались положительно, как со стороны руководства ИВС, так и со стороны первичной комсомольской организации.

Партийная и комсомольская организации ГОВД, принимая к неуклонному руководству июньское (1984 г.) Постановление ЦК КПСС «О дальнейшем совершенствовании партийного руководства комсомолом и повышении его роли в коммунистическом воспитании молодежи», и выводы, содержащиеся в выступлении тов. К. У. Черненко на Всеармейском совещании секретарей комсомольских организаций, сосредоточат все внимание на нерешенных задачах, сделают все для того, чтобы претворить в жизнь решения XXVI съезда КПСС, июньского (1983 г.) Пленума ЦК КПСС, достойными успехами встретить 40-летие Победы советского народа в Великой Отечественной войне и XXVII съезд КПСС.

**Р. ДЖИОЕВ,**

**заместитель начальника Цхинвальского ГОВД по политчасти, капитан милиции.**

# ПОЛЕЗНОЕ НАЧАЛО

**Повышение идейно-политического и эстетического уровня личного состава органов внутренних дел — залог успешной работы блюстителей правопорядка.**

**Именно с этих позиций в Гардабанском и Мцхетском РОВД был проведен диспут на тему «В чем смысл жизни человека?». Инициаторами этой интересной и полезной встречи явились руководство Гардабанского и Мцхетского РОВД, Дом культуры имени Ф. Э. Дзержинского МВД ГССР и Институт философии при Академии наук Грузинской ССР.**

**Личный состав Гардабанского и Мцхетского РОВД готовился к диспуту с большим интересом. За несколько дней до встречи им заранее были выданы анкеты, чтобы дать возможность не спеша. ответить на поставленные перед ними вопросы.**

**Ответы проверялись и анализировались квалифицированными специалистами.**

**Учитывая, что счастье — понятие растяжимое, у каждого сотрудника внутренних дел были свои мнения и суждения на данный вопрос.**

**Сформулированный ответ, основанный на позициях марксизма - ленинизма, совместимого с моралью социалистического образа жизни, предстояло дать кандидату философских наук, доценту Института философии при Академии наук Грузинской ССР Геронтию Шушанашвили. Надо сказать, что перед ним стояла нелегкая задача; каждый из присутствующих ждал обоснованного и откровенного разговора о жизненном счастье, о его значении и понятии. Геронтий Шушанашвили научно разъяснил значение данного вопроса на протяжении всей истории человечества.**

**Интерес среди сотрудников Гардабанского и Мцхетского РОВД вызвал вопрос: Каким должен быть сотрудник милиции? В дискуссии на данную тему приняли участие все присутствующие, так как разговор шел о чести и совести защитников правопорядка, об их требовательности и ответственности.**

**Следует отметить, что такие мероприятия очень нужны молодежи, и необходимо проводить их и в других горрайорганах внутренних дел республики. Главное, начало этому полезному начинанию уже положено.**

**И. СЛОЯН.**

«ПОБЕДИТЕЛЬ СОЦСОРЕВНОВАНИЯ»

# В ТРЕТИЙ РАЗ

**В течение двух лет линейный отдел внутренних дел аэропорта Тбилиси удерживает переходящее Красное знамя Грузинского Управления внутренних дел на транспорте за победу в социалистическом соревновании.**

Не сменила она своей «прописки» и на третий год. За высокие показатели в оперативно - служебной деятельности и примерную дисциплину коллектив отдела вновь признан победителем социалистического соревнования среди подразделений внутренних дел на воздушном транспорте.

— 1984 год был нелегким, — говорит начальник отдела подполковник милиции Т. Тутберидзе, — но хороших результатов в работе нам удалось добиться благодаря умелой организации предупредительно - профилактических мероприятий.

Совместно с внештатными сотрудниками, дружинниками, общественностью проводились рейды. Заметно активизировалась работа группы народного контроля. Хорошую инициативу проявили комсомольцы отдела.

По рекомендации ЦК ВЛКСМ, Политуправления МВД СССР и указанию ГУВДТ из числа комсомольцев и молодых сотрудников отдела были созданы комсомольско - молодежные коллективы, которые развернули между собой социалистическое соревновние под девизом: «Ни одного отстающего рядом!».

Все это незамедлительно сказалось на результатах работы, особенно по линии уголовного розыска. За 1984 г. количество преступлений по сравнению с предыдущим годом значительно уменьшилось, улучшилась раскрываемость преступлений.

В течение прошлого года не было ни одного ЧП и случая нарушения соцзаконности со стороны сотрудников отдела.

Тбилисский аэропорт — воздушные ворота столицы нашей республики. Очень важно, чтобы здесь был образцовый общественный порядок. Тем более, что текущий год насыщен рядом крупных событий.

Недавно коллектив отдела с честью выполнил ответственную задачу — обеспечил правопорядок в дни подготовки и проведения выборов в Верховный Совет союзных и автономных республик, местные органы власти.

Сейчас мы готовимся достойно встретить 40-летие Великой Победы и XXVII съезд КПСС и XXVII съезд Компартии Грузии.

**А. ГРИГОРЯН,**

**заместитель начальника ОВД аэропорта Тбилиси по политической части, майор милиции.**

# ძვირფასო ქალებო, გილოცავთ დღესასწაულს!

# ДОРОГИЕ ЖЕНЩИНЫ, ПОЗДРАВЛЯЕМ С ПРАЗДНИКОМ!

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალთა საბჭოს წევრები: ა. ივანჩენკო, ც. ხარატიშვილი, ლ. ნორაკიძე, ც. გულედანი და ლ. ახალაშვილი (საბჭოს თავმჯდომარე) ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში ათვალიერებენ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ა. გოგოლაძის ფოტო.



## საქმის სიყვარულით

**რამდენიმე** წელია საქმის სიყვარულით მუშაობენ ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების კოლექტივში ოთხი ქალი, რომლებიც მათზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო დავალებებს პირნათლად ასრულებენ. აი, ისინიც: **ვალენტინა თაბაგარი** ქ. ოდესის მკვიდრი, რომელმაც თავისი ბედი ჭიათურას დაუკავშირა, შექმნა ტკბილი ოჯახი და აქვე შს რაიგანყოფილებაში დაიწყო მუშაობა მდივან-ბუღალტრად; მან ახლახან დიდი სიხარული განიცადა, გარჯა დაუფასდა: ამაგდარ ადამიანს, უმწიკვლო და ხანგრძლივი მუშაობისათვის „შრომის ვეტერანის" წოდება მიენიჭა.

**დარეჯან მაჭავარიანი** უფროს პასპორტისტად მუშაობს. იგი თავისი საქმის კარგ მცოდნედ ითვლება განყოფილებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ინიციატივას იჩენს. იყო ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების კომკავშირული „პროჟექტორის" თავმჯდომარე. მის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი სპორტს უჭირავს. არის პირველთანრიგოსანი კალათბურთელი; დღეს ორი შვილის დედა კარგად უთავსებს ერთმანეთს შრომასა და ოჯახურ საქმიანობას. აღსანიშნავია, რომ მეუღლეც ჭიათურის შს რაიგანყოფილების მუშაკია. იქვე მის გვერდით შრომობს საპასპორტო საქმეში დაოსტატებული ქალიშვილი **ნანი გოგილავა**, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს მშრომელთა უკეთ მომსახურებაზე. გულისხმიერი დამოკიდებულებით იგი მოქალაქეთა პატივისცემას იმსახურებს...

**ციალა ბურძენიძე** მდივან-მემანქანედ მუშაობს, თავდადებული მუშაობისათვის შინაგან საქმეთა ჭიათურის საქალაქო განყოფილება მას ხშირად ახალისებს ხოლმე. მის პირად საქმეში რამდენიმე ქების სიგელიც ინახება. იგი ორი სტუდენტი ქალიშვილის დედაა. კარგად სწამს, რომ მართლწესრიგისადმი სამსახური ყოველი ორგანოს მუშაკისათვის წმიდათა-წმიდა ვალია.

ვულოცავთ ჭიათურის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ქალთა კოლექტივს 8 მარტს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ-ახალი წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**თ. შილაკაძე**

## კანონის სახელით

13 წლის იყო ნათელა ჯობავა, როცა მამა ფრონტზე დაეღუპა. ობლობაც განიცადა და ხელმოკლეობაც. სკოლის დამთავრების შემდეგ მმაჩის ბიუროში საქმეთა მმართველად დაიწყო მუშაობა. იქიდან ახალგაზრდა გოგონა გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურში გადაიყვანეს.

— რამდენი დრო გასულა. შრომაში წამომეპარა წლები, — ამბობს ნათელა, — ჯერ კიდევ გამოუცდელი ვიყავი, როდესაც საპასპორტო სამსახურში დავიწყე მუშაობა. მას შემდეგ ოცდაათი წელი გავიდა. დრო დიდია, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო.

1954 წელს ნათელა ჯობავა სამსახურეობრივ-ოპერატიულ მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ბრძანებით შეტანილი იქნა გაზეთ „საბჭოთა მილიციის" საპატიო დაფაში. მას შემდეგ ქალბატონმა ნათელამ ექვსჯერ მიიღო აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატიო სიგელი. 1970 წელს მისი სახელი შეტანილი იქნა სამინისტროს საპატიო წიგნში.

განსაკუთრებით სიხარული მოუტანა ნათელას 1972 წელმა — მის



მკერდზე „საპატიო ნიშნის" ორდენი აკიაფდა.

ნ. ჯობავას პირად საქმეში კიდევ მრავალი წახალისება და მადლობა ინახება, რაც მის სამსახურეობრივ წარმატებებზე მეტყველებს.

საინტერესო და მრავალფეროვანია ნათელა ჯობავას საქმიანობა. მის სამუშაო ოთახში ყოველთვის ხალხმრავლობაა. აქეთ ვადაგასული პასპორტია გამოსაცვლელი, იქეთ დაკარგული პასპორტია აღსადგენი, ალიმენტის ურჩი გადამხდელების, სახელმწიფო მოვალეების დაძებნა, დაკარგული ნათესავ-ახლობლების დადგენა და კიდევ ათასი წვრილმანები...

შეჰყურებ ამ თავმდაბალ, შრომისმოყვარე ადამიანს და გრძნობ, რომ მასთან არავითარი თხოვნა, შუამდგომლობა, ახლობლობა არ გასჭრის.

— მხოლოდ და მხოლოდ კანონის სახელით! — მოკლე და ლაკონიურია მისი პასუხი.

საზრუნავსა და საფიქრალს რა გამოულევს... სხვისი ბედნიერება და სიხარული უფრო მეტად ულირს, ვიდრე საკუთარი, ესაა მისი ღირსების საზომი.

მრავალი ახალბედისათვის გაუზიარებია ნათელას თავისი მდიდარი გამოცდილება. ამჟამად საპასპორტო სამსახურში ორ ახალგაზრდა მუშაკს უწევს შეფობას, ეხმარება მათ პროფესიულ დაოსტატებაში.

ნათელა ჯობავას ყოველი დღე შინაარსიანია.

ვულოცავთ ქალთა დღეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სამსახურეობრივ წარმატებებს და პირად ბედნიერებას.

**ჯ. ბაბელია,**
**გალის შს განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

## «ОТЛИЧНЫЙ ПРОПАГАНДИСТ МВД СССР»

**За большую работу по пропаганде материалов XXVI съезда КПСС, последующих пленумов ЦК КПСС, высокие результаты в идейно - политическом и нравственном воспитании личного состава органов внутренних дел, значительный вклад в организацию политической учебы и повышение ее эффективности приказом министра внутренних дел СССР нагрудным знаком «ОТЛИЧНЫЙ ПРОПАГАНДИСТ МВД СССР» награждена капитан милиции ЛОМАДЗЕ НИНО АРТЕМОВНА, участковый инспектор по делам несовершеннолетних Ланчхутского РОВД.**

После окончания исторического факультета Тбилисского государственного университета Нино Ломадзе начала работать педагогом истории в Ланчхутской средней школе. 2 года проработала Нино в школе, когда ей в райкоме партии предложили перейти в органы внутренних дел. Любовь к детям, знание детской психологии, желание помогать «трудным» встать на правильный путь сделали свое дело. И вот Нино — участковый инспектор по делам несовершеннолетних.

На протяжении ряда лет Н. Ломадзе является руководителем группы политической учебы рядового и младшего начсостава. А недавно приказом министра внутренних дел Союза ССР капитан милиции Н. Ломадзе награждена нагрудным знаком «Отличный пропагандист МВД СССР».

**НА СНИМКЕ:** капитан милиции Н. Ломадзе.



## «Бой вели не ради славы...»

«Все, что мы знаем о женщине, лучше всего вмещается в слово «милосердие». Есть и другие слова — сестра, жена, друг и самое высокое — мать. На самой страшной войне XX века женщине пришлось стать солдатом. Она не только спасала, перевязывала раненых, но и стреляла из «снайперки», бомбила, подрывала мосты, ходила в разведку.

Женщина убивала. Она убивала врага, обрушившегося невиданной жестокостью на ее землю, на ее дом, на ее детей...».

Эти строки из книги Светланы Алексиевич «У войны — не женское лицо» я вспомнила, когда слушала рассказ крымской партизанки, ныне начальника музея МВД Грузинской ССР, майора милиции Татьяны Андреевны Серебряковой.

Каждый прожитый фронтовой день, час, минута — это страничка летописи военного времени, целая жизнь, невыносимая боль утрат.

...Когда началась война, Таня училась на третьем курсе авиационного техникума. Вместе с родными эвакуировалась в Краснодар, а оттуда по комсомольской путевке была направлена на один из заводов.

На заводском собрании она попросила, чтобы ее отправили на фронт. Вскоре военный комиссариат определил девушку на курсы радистов.

...21 июня 1942 года. Небольшая группа десантников - парашютистов должна была высадиться в тылу противника. Командир А. Бахтадзе давал последние указания, напутствия. Самолет постепенно набирал высоту, увозя неопытных, необстрелянных еще юношей и девушек в пекло войны.

...Поздней ночью Татьяна Серебрякова была доставлена в Крымский партизанский отряд.

Здесь началась для Тани партизанская жизнь, полная тревог и опасностей. И была она уже не Таня, а Надежда Верова. Надежда выходила в эфир — передавала на Большую землю зашифрованные данные о расположении фашистов, их аэродромах и огневых точках, передвижении воинских частей. По переданным ею сведениям советская авиация разбомбила важные объекты.

...Как-то одному из фашистских подразделений удалось окружить район, где располагался партизанский отряд и его штаб. Партизаны ожидали начала боя. Он начался ранним июльским утром. Из-за сплошного гула и свиста перекрестного огня невозможно было понять: откуда и куда стреляют. Умело маневрируя, отступая на высоту, где находился наблюдательный пункт штаба, бойцы заняли оборону и продержались до поздней ночи.

Бой был тяжелым и упорным. Изнуренные и голодные, бойцы не покидали высоты и только ночью перешли шоссейную дорогу, охраняемую немцами и скрылись в лесу.

Это было первым боевым крещением Татьяны Серебряковой, испытанием чувств — страха и отваги, ненависти к врагу и верности Родине. Здесь она впервые встретилась лицом к лицу со смертью, здесь она впервые стреляла в фашистов.

...Отгремели бои. Остались позади трудности и лишения. Но нельзя забыть пережитого. И каждый год, в день Победы, Татьяна Андреевка едет в Крым, на места боев партизан, на их базу, где сохранились землянки, мельница.

Как будто они рядом, друзья — радисты Михаил Захарчук, Василий Добрышкин, Ася Апарина — эти славные, отважные люди. Здесь все напоминает те суровые годы, будто сейчас разразятся гром пушек, взрывы мин, леденящий душу вой бомб... В ушах звучит адская мелодия войны... Перед глазами проходят Миша Исаев, Рая Диденко, Оля Громова.

Неимоверно тяжкие испытания, большие потери и горе выпали на их долю. Но сумели они выстоять в суровые годы войны, не потерять себя. Выстоять и выдержать.

Именно выстояла и победила Татьяна Андреевна Серебрякова, чтобы через сорок лет рассказать потомкам о тех замечательных людях, которые ценой своей жизни приближали победу.

**А. САРКИСЯН.**

## НАСТАВНИК МОЛОДЕЖИ

Вот уже около четырех десятков лет работает в органах внутренних дел Гапалова Ниса Гасановна. Из них только 30 лет отданы работе в финансово - плановом отделе МВД Грузинской ССР.



Старший экономист ФПО МВД ГССР, персональный пенсионер республиканского значения, ветеран труда, заслуженный бухгалтер ГССР Н. Гапалова свой опыт и знания передает молодежи.

Д. Капианидзе, Н. Хурцилава, Э. Сахвадзе, Л. Сомхишвили, Ж. Некрасова... Они осваивали азы бухгалтерской работы под руководством Нисы Гасановны. Для каждой из них Ниса Гапалова не только наставник, но друг и товарищ. Она в любую минуту готова прийти на помощь своим коллегам и подшефным. Теперь многие ее подшефные сами стали наставниками и воспитывают молодых бухгалтеров и экономистов.

Н. Гапалова неоднократно поощрялась руководством министерства и отдела.

**Т. ТАРИЭЛАШВИЛИ.**

**НА СНИМКЕ:** Н. Гапалова.

Фото **автора.**

# მამაკაცების მხარდამხარ

ეს მოხდა 1978 წელს, მაშინ ციალა გულედანი მესტიის შს რაიგანყოფილებაში გამომძიებლად მუშაობდა. სრულიად საქართველოს ელვისსისწრაფით მოედო მეტად სამწუხარო ამბავი — მესტიის რაიონის სოფელ ლატალის იენაშის ეკლესიიდან გაიტაცეს უძველესი და უძვირფასესი 3 ხატი და 3 ჯვარი. დაუყონებლივ, იმ დღესვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც რესპუბლიკის საგამომძიებლო სამმართველოს მუშაკები ედგნენ სათავეში, განყოფილების უფროსის გ. ნანეიშვილის ხელმძღვანელობით. გამომძიებლები ციალა გულედანი, ვახტანგ ჰანტურია და ვარლამ კეთილაძე თავდაუზოგავად მუშაობდნენ. დღე და ღამეს ასწორებდნენ რომ მიეკვლიათ გამტაცებლისათვის და ეროვნული საგანძური დაებრუნებინათ და აი, ქ. ოდესაში ორი ჯვარის ამოღება გახდა შესაძლებელი. იქვე აღმოაჩინეს ხატიც. სამეული იმედს არ კარგავდა. მილიციის კაპიტანი ციალა გულედანი, მამაკაცებთან ერთად, ყინვასა და სუსხში, ერთი წამითაც უკან არ იხევდა, წვრილმან ინფორმაციასაც კი ძირფესვიანად გადაამოწმებდა ხოლმე. ძიება გრძელდებოდა. ბევრჯერ გამოუცდია ამგვარი „სუსხი“ ციალა გულედანს, მაგრამ ხშირად ბოლო კეთილად დამთავრებულა.

1980 წლიდან ციალა გულედანი მესტიის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ დააწინაურეს, პოლიტიკურ ნაწილში. 10 წელზე მეტი იმსახურა მესტიაში; ყველგან, სოფელსა თუ უბანში ციალას კაი ქალობაზეა საუბარი.

მისი უმწიკვლო, და თავდადებული მუშაობა მედლით აღნიშნეს. აქვე გვინდა ხაზგასმით ისიც ავღნიშნოთ, რომ ციალა გულედანი 1981 წლის მაისში „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით დაჯილდოვდა.

ამჟამად, მილიციის მაიორი ც. გულედანი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოშია. ისევ და ისევ ძიება, ჭეშმარიტების დადგენა, დამნაშავის დროულად გამოაშკარავება.

მადლობები... გაბრწყინებული სახეები... ესაა ც. გულედანის ყველაზე დიდი ჯილდო, სტიმული და იმედის მიმცემი;

ამ დღეებში ციალა თითქოს მეორედ დაიბადა. „ამხელა სიხარული ჩემი ცხოვრების მანძილზე ჯერ არ განმიცდიაო“, — გვითხრა. „წმინდა თევდორეს“ ხატი, რომელიც მესტიიდან იქნა გატაცებული ჟენევაში აღმოჩნდა და... დაიბრუნეს. მკითხველს ალბათ დააინტერესებს როგორ მიაკვლიეს 7 წლის წინ გატაცებულ ეროვნულ საუნჯეს და როგორ დაიბრუნეს იგი.

„უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დადგენა, როგორ მოხვდა ჟენევაში ქართული ხატი და ვინ იყო მისი მესაკუთრე. დიდი მუშაობა გასწია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ. მისი აქტიური ჩარევით სპეციალურად გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის კონსულთან შვეიცარიაში. დადგინდა, რომ აღნიშნული ხატი ჟენევაში ხელოვნების ისტორიის მუზეუმთან არსებულ აუქციონზე გამოუტანია ფინელ ბიზნესმენს იმ იმედით, რომ დიდ ფასში გაეყიდა. როდესაც მას საქმის ვითარება განუმარტეს ფინელმა სასტიკი უარი განაცხადა დაბრუნებაზე. საჭირო გახდა სასამართლოს ჩარევა. ჟწორედ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხატი თავის სამშობლოს — საბჭოთა კავშირს გადასცემოდა.

ჩვენი დამცველი ფრანგი ადვოკატი დანიელ დუმარტიერი გახლდათ. საგამომძიებლო საქმე სამი ტომისაგან შედგებოდა: მოწმეების ჩვენებები, ექსპერტის დასკვნები, ხატის ამოცნობის დაკითხვები... საქმე ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდა. „წმინდა თევდორეს“ ხატი საბჭოთა გენერალურ საკონსულოს გადაეცა, იქიდან კი საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც შედგა დამადასტურებელი დოკუმენტი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ა. ადამიშინისა და საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს განყოფილების უფროსის გ. ნანეიშვილის ხელმოწერით. ამის შემდეგ ხატი გადაიგზავნა სამშობლოში — ამრიგად, XIV საუკუნის ხატი დავიბრუნეთ. — სიხარულით გვიამბობს ციალა, ლატალის ეკლესიიდან წაღებული ყველა ხატი ადგილზეა. ახლა, მათ საიმედო დამცველი ჰყავს.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის დახმარებით სვანეთის ეკლესიებში დაიდგა რკინის კარადები, ადგილზე მიემაგრა დამატებითი ზედამხედველი, არასაუწყებო დაცვის თანამშრომელთა შტატები გაიზარდა. საფუძველი ჩაეყარა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობას... — სიამაყით დასძინა ციალამ.

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს ვულოცავთ მილიციის მაიორს ციალა გულედანს და კეთილსურვილებთან ერთად ტკბილი ოჯახის შექმნასაც ვუსურვებთ.

ნ. ოტიაშვილი

---

Однажды утром на работу не явился наш корреспондент. Может, он на задании, подумали мы. Но, как выяснилось, задания на этот день у него не было. Тогда, может, заболел? Позвонили домой. Трубку никто не брал. Где он? Что с ним? Эти вопросы волновали нас весь день. И вот к вечеру запропастившийся корреспондент, наконец, появился в редакции. Однако, выговора за прогул он не получил, так как вместо объяснительной представил... фельетон, в котором и объяснялась причина прогула. Думаем, и вам, дорогие читатели, будет небезынтересно ознакомиться с этим «документом». Итак..

# НЕВЫДУМАННАЯ ИСТОРИЯ

Все произошло в пятницу вечером, вернее, ничего особенного не произошло, тем не менее, шума (в буквальном смысле этого слова) было много и в тот вечер, и в последующие дни.

...День клонился к закату, когда я повстречался с моими друзьями и попросил подвезти меня в редакцию. Те охотно согласились и мы поехали по Набережной. Подъезжая к улице Тельмана, включили левый поворотник.

Встречный поток автомобилей в тот вечер был особенно интенсивным, казалось, конца ему не будет. Да к тому же, на противоположной полосе велись дорожные работы и дорога значительно сужалась.

Наконец, стрелка светофора указала, что путь свободен. Но, не тут то было. (Видимо, многим автолюбителям знакомы эдакие асы автовождения на дорогах, которым кажется, что им все дозволено). С одним из таких вот асов повстречались и мы. Выехав за ограничительную линию на противоположную полосу (нарушение первое), он обогнал ряд автомашин и поехал на красный свет (нарушение второе).

«Что за безобразие, — подумали, очевидно, в тот момент ас и его пассажир. — Нам не уступают дорогу!». «Жигули» остановились посреди дороги, тем самым запрудив движение (нарушение третье), и пассажир, сидевший рядом с водителем, произнес в наш адрес «обвинительную речь» — мол, как мы смеем перерезать им дорогу, и кто мы, мол, такие. И напоследок «обвинитель» назвал себя и вынес нам приговор: «Я сделаю так, что у вас не будет этой машины. Запомните мою фамилию». Мы запомнили, но особого значения этому инциденту не придали. Мало ли с кем приходится сталкиваться в жизни...

Однако, уже на второй день, в субботу, мой друг (тот, который сидел за рулем) у себя дома обнаружил записку. Сказали, что принесли ее двое в штатском. (Похоже на детектив, не правда ли?).

На обычном, выдранном откуда-то клочке бумаги был указан адрес одного из подразделений МВД.

Повертели мы этот клочок бумаги в руках и решили никуда не являться. В конце концов, не повестка же пришла.

Воскресенье прошло спокойно, а в понедельник... за нами приехали. Утром рано раздался звонок в дверь. На пороге стояли двое в штатском, которые представились сотрудниками милиции. С их слов мы поняли, что машина нашего друга, якобы, причастна к аварии и ее необходимо отправить на экспертизу, а для этого срочно необходимо явиться в...

Что за «авария», мы то прекрасно знали, но любопытства ради поехали.

Прибыли по адресу... Не объяснив нам ровным счетом ничего (на каком основании нас вызвали, в чем наша вина), прилежно записали все наши данные (даже семейным положением поинтересовались). Затем попросили владельца автомашины написать объяснительную, а его самого велели обыскать. Замечу: при обыске (кстати, незаконном) холодного оружия, и тому подобных вещей обнаружено не было.

Естественно, нам стало интересно: кто же все-таки тот, столкнувшись с которым, мы стали без вины виноватые.

Именно по его указанию и заварили всю эту кашу. А водительское удостоверение моего друга все-таки отобрали и отправили в ГАИ. Основание? «Не там поворачивали»

Мне остается отметить, что во всей этой истории я остался инкогнито. Просто интересно было понаблюдать за неправомерными и незаконными действиями некоторых сотрудников милиции, так сказать, изнутри.

И еще. Хотелось бы этот материал назвать фельетоном, но когда встречаешься с подобными явлениями в жизни, право, становится несмешно.

В. МИРОШНИЧЕНКО.

**ОТ РЕДАКЦИИ.** История, действительно, невеселая. И мы навряд ли предложили бы ее вниманию наших читателей, если б случай, описанный нашим корреспондентом, был из ряда вон выходящим, единичным. Но, к сожалению, почта поступающая в редакцию, свидетельствует об обратном: многие сотрудники органов внутренних дел, пользуясь служебным положением, превышают свои полномочия.

---

სპორტი — სპორტი — სპორტი

# ლიდერებმა პოზიციები დათმეს

**სახანძრო-გამოყენებითი** სპორტის განვითარებას საქართველოში ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა და ეს არ არის შემთხვევითი, რადგან იგი ხელს უწყობს ჩვენი მეხანძრეების მზადყოფნას ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა — დაიცვან სახალხო დოვლათი. თუმცა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს რესპუბლიკის ყველა კუთხეში როდი უთმობენ სათანადო ყურადღებას. მაგალითად, აფხაზეთში ბოლო ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის ნაკრებისათვის არც ერთი წევრი არ მომზადებულა. სახანძრო-გამოყენებით სპორტში წინა ორ ჩემპიონატზე აფხაზეთის ნაკრებმა ორჯერვე ბოლოსწინა — მეშვიდე ადგილი დაიკავა. ეს ფაქტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისმა ორგანოებმა სამართლიანი კრიტიკიდან დასკვნებიც სათანადო გამოიტანეს და შედეგმაც არ დააყოვნა. სოხუმის ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე მეხანძრე სპორტსმენებისათვის სპეციალურად აშენდა ოთხსართულიანი სასწავლო კოშკი ოთხი ბილიკით. ამან აფხაზეთის სპორტსმენებს საშუალება მისცა შეჯიბრებებისათვის კარგად მომზადებულიყვნენ და სახანძრო-გამოყენებით სპორტში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს III ზამთრის ჩემპიონატისათვის ემასპინძლათ. სოხუმში საასპარეზოდ რვა გუნდი ჩამოვიდა. ახალი სპორტული ბაზის საზეიმო გახსნის შემდეგ ისინი სახანძრო-გამოყენებითი სპორტის სამ სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს.

უჩვეულოდ, თეთრ საბურველში გახვეული დახვდა ასპარეზობის მონაწილეებს აფხაზეთის დედაქალაქი. ცუდი პირობების მიუხედავად კარგად გამოვიდნენ შარშანდელი ჩემპიონები — რუსთავის გუნდის წევრები. მათ სამივე სახეობაში — 100 მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში, საიერიშო და გასაშლელი კიბეებით ასპარეზობაში იმარჯვეს, საბოლოოდ 7737 ქულა დააგროვეს და ჩემპიონობა შეინარჩუნეს. ყველასათვის მოულოდნელად მეორე ადგილზე, აფხაზეთის მეხანძრეები გავიდნენ. მართალია, ისინი ჩემპიონებს მთელი 2 ათასი ქულით ჩამორჩნენ, მაგრამ მათ მიერ დაკავებული ორი მეორე და ერთი მესამე ადგილიც სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მესამე ადგილზე 5136 ქულით აჭარის ნაკრები გავიდა.

პირად პირველობაში 100 მეტრიან დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში პირველი იყო თამაზ ბოლქვაძე (აჭარა), მეორე-მესამე ადგილებზე თანაგუნდელები გურამ ცეცხლაძე და სულიკო ვარშანიძე (ორივე რუსთავი) გავიდნენ. საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე ასვლაში ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა რევაზ სიხარულიძემ (სახანძრო დაცვის სკოლა). მეორე ადგილი კორნელი შანიძემ (აჭარა) დაიკავა. სულიკო ვარშანიძე ამ სახეობაშიც მესამე იყო, სამაგიეროდ მან გურამ ცეცხლაძესთან ერთად პირველობა მოიპოვა გასაშლელი კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლაში. ჩემპიონებს, 2,8 წამით ჩამორჩა ევგენი ფილიმონოვისა და გალაქტიონ ივანოვის წყვილი (ფოთი). მესამე ადგილზე თამაზ ბოლქვაძე და კორნელი შანიძე გავიდნენ.

აქვე გვინდა დავძინოთ ისიც, რომ შარშანდელთან შედარებით ძალზე ცუდად გამოვიდნენ ახალციხელი მეხანძრეები. თუ წინა ჩემპიონატზე ისინი მესამე ადგილზე იყვნენ, ამჯერად მხოლოდ მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ალბათ, მეტი მოეთხოვებათ აჭარის, ქუთაისისა და ფოთის სპორტსმენებს. შესაბამისი სპორტკომიტეტები რომ სათანადოდ აკონტროლებდნენ ადგილებზე ჩვენი მეხანძრეებისა და მათი მწვრთნელების მუშაობას, მაშინ შედეგებიც არ იქნებოდა ასე სავალალო.

კიდევ ერთ ფაქტზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. სახანძრო გამოყენებითი სპორტის განვითარებისათვის სამტრედიის ცენტრალურ სტადიონზე ყოველგვარი პირობაა — ოთხსართულიანი სასწავლო კოშკიცაა და ბილიკებიც — იქ რესპუბლიკური შეჯიბრებებიც ტარდება, სამტრედიელ მეხანძრეთა გუნდი კი არსად ჩანს. დამაფიქრებელია ისიც, რომ სახანძრო-გამოყენებით სპორტს თავს არიდებენ სამხრეთოსეთის, რესპუბლიკის მსხვილი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. ვფიქრობთ, ამ ფაქტებს დროული რეაგირება სჭირდება.

ვ. დანელია.



სურათზე: თ. ბოლქვაძე გ. ცეცხლაძე, რ. სიხარულიძე და ს. ვარშანიძე.

მ. პეტროვის ფოტო

---

# რესურსებს — მკაცრი ანგარიში

**მატერიალურ-ტექნიკურ სა შუალებათა დათვალიერების ორთვიური**

**საქართველოს** სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესწავლისა და გამოყენების, პირუტყვის გამოზამთრების ორგანიზებული დამთავრებისა და დადგენილ აგროვადებში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა შესრულების მიზნით, სახელმწიფო კომიტეტმა და რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტეს მოაწყონ სახელმწიფო კომიტეტის სისტემის ძირითად მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა დათვალიერების ორთვიური.

ორთვიურის ორგანიზებული მოწყობისათვის შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის გ. დ. მგელაძის ხელმძღვანელობით.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებსა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებს დაევალათ შექმნან შესაბამისი შტაბები და ოპერატიული ჯგუფები და შეიმუშაონ მათი სამუშაო პროგრამები. შემოწმების შედეგებს განიხილავენ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა საბჭოს სხდომებზე, ხოლო მასალებს წარადგენენ რესპუბლიკურ შტაბში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს რაიონულმა ქვეგანყოფილებებმა და სასოფლტექზედამხედველობის რაიონულმა ინსპექციებმა უნდა გამოავლინონ ტრაქტორები, ავტომანქანები და სხვა სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, რომლებიც მოქალაქეებს უკანონოდ აქვთ პირად საკუთრებაში.

ორთვიურის შედეგებს განიხილავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიების გაერთიანებულ სხდომაზე.

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 06055